შინაური საქმეები

ყოველკვირეული გაზეთი.

№ 27.

ნოემბერი 30, 1908 წ.

...ა წლიურათ — — 4 მან.
ნახევარი წლით — 3 მან.

ცალკე ნომერი ღირს 8 კაპეიკათ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია.

შინაარსი: სრულიად საქართველოს სამღვდელოებას—კინკილეთელისა; შეუძლებლობა სოციალიზმისა (გაგრძელება)—ნაცარყანელისა; უდაბნოში ვარ (ლექსი)—ივერიელისა; აკაკის იუბილეს გამო—მღ. ვ. ყიფშიძისა; თანასწორობა ყველა კაცთა (დასასრული)—ნაცარყანელისა; ხელოვნური სასუქი (გაგრძელება)—ნ. მკურნალისა; ნეკროლოგი—მღვდ. ვლ. სალაძისა; პირველი ფურცელი ბიბლიისა (გაგრძელება)—ონოფრე მწირისა.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ხელის მომწერთ

წარმოადგინონ ჟურნალის წლიური ფასი.

ყოველკვირეულ გაზეთ

„შინაურ საქმეებზე“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში ქ. ქუთაისში (საბურთალო—კაზაკოვის—შესახვევში № 17) და საეპარქიო საბჭოში—წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 3 მან. ცალკე ნომერი ღირს 8 კაპ. აპრილიდგან იანვრამდის 3 მანეთი. გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებას.

სრულიად საქართველოს სამღვდელოებას

ეჭვი არ არის, რომ სამღვდელოების უპირველეს მოვალეობას შეადგენდა, და დღესაც შეადგენს, სარწმუნოების გავრცელება და განმტკიცება. ამას გვავალებს მცნება ქრისტესი, ამასვე გვავალებენ პირველნი მღვდელმთავარნი—მოციქულები. კაი ხანია ჩვენმა სამღვდელოებამ, თუ სრულიად არ უღალატა, მხარი მაინც უქცია ამ თავის მოვალეობას და დღიურ ვარამში გახვეული თავის უმრავლესობით გადაიქცა უბრალო მოხელეებად და სამღვდელო ხარისხი გაიხადა საზრდოს მოსაპოვებელ საშუალებად. ეს გარემოება იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ხალხმა ახლო წარსულში უარჰყო სამღვდელოება და თუ ეხლა ვითომ გული მოიბრუნა, ეს სხვა მიზეზის ბრალია. ესევე შეიქნება სამღვდელოების სრულ დამღუპველ მიზეზად, თუ მან ადრევე არ შეიგნო თავისი გზადაბნეულობა. ხალხი ყოველთვის მორწმუნე იქნება, მიუხედავად იმ ვაჟბატონების სიტყვისა, რომლებიც ამბობენ მეცნიერება გაფანტავს სარწმუნოების უმეცრებასო, და, როგორც ასეთი ვერ შეურიგდება თავის მიზანდაცილებულ სამღვდელოებას, ვერ იგუებს, მას, როგორც მუქთახორას და ეცდება ან გაასწოროს, ან სრულიად მოიცილოს თავიდგან. წინასწარმეტყველი არ უნდა იყოს კაცი, რომ [illegible] ვე იცოდეს და მხოლოდ [illegible]

იმ შავ-ბნელ ღრუბლებს, რომლებიც მოიწევიან დღევანდელ გზა-დაკარგულ სამღვდელოებაზე.

საჭიროა შეგნება, საჭიროა დაკარგული გზის მოძებნა და მედგარი გადაწყვეტილება, რომ სამღვდელოება არ ულალატებს ამ ჭეშმარიტ გზას, არ აუხვევს გვერდს არავითარ ქვეყნიურ დიდებისა და სიკეთისათვის. მხოლოდ მაშინ შეიყვარებს თავის სამღვდელოებას საზოგადოება, მ'ო. ლოდ მაშინ დააფასებს მის ღვაწლს ღირსეულად და მისცემს საშუალებას ცხოვრებისას. დასავიწყარი არ არის ის დიდმნიშვნელოვანი გარემოება, რომ მოციქულებს არსად არაფერი წაუღიათ, მაგრამ შიმშილით (რომლისაც ასე ეშინია თანამედროვე მღვდელს) არ დახოცილან, თუმცა არც მილიონერები გამხდარან...

მიზნის შეგნებას განვითარება უნდა, ხოლო უკანასკნელს საშუალება, რომელსაც დღეს დღეობით შეადგენენ ის აურაცხელი ქაღალდის აჭრელებული ფურცლები, რომლებიც წიგნებად და ჟურნალ-გაზეთებად იწოდებიან და რომლებსაც დღეს ასე თუ ისე მოკლებულია ჩვენი სამღვდელოება.

თანამედროვე ლიტერატურას, იმ ლიტერატურას, რომელსაც, რაღაც გაუგებარ მიზეზით, საერო ეწოდება, არ შეუძლია სამსახური გაუწიოს სამღვდელოებას; იგი არათუ უახლოვებს და აგნებინებს სამღვდელოებას თავის მიზანს, არამედ გზას უბნევს და აშორებს მას. იგი უბნელებს ადამიანს თავის მაღალ დანიშნულებას, უსპობს აღმაფრენას და აკრავს დედამიწას, როგორც მის მშობელს და მის საუკუნო სამარეს, რომლის იქით აღარაფერი იხედება, აღარაფერი მოსჩანს, გარდა სრული არარაობისა.

ასეთი შანაარსის ლიტერატურა ვერც ხალხს გაუწევს წინამძღოლობას ზნეობრივ ზრდაში. მას მხოლოდ მგლები და ტურები შეუძლია აღზარდოს, შეუძლია გამოიყვანოს ცხოვრების საბრძოლველ ასპარეზზე უფრო დახელოვნებული ერთეულები. იმას, მალმომრეობის წინააღმდეგ მებრძოლს, თვით მალმომრეობაზე უნდა დააფუძნოს წუთიერი ბედნიერება ადამიანისა და არა სახარების უტყუარ და სამარადისო იდეებზე. ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ იგი არა სანუგეშო და საიმედო ხელმძღვანელია სამღვდელოებისა, რომელსაც მიზნად უნდა ჰქონდეს „სასუფეველი ღვთისა და სიმართლე მისი“.

ამიტომაა, რომ სამღვდელოებას ესაჭიროება თავის საკუთარი გამოცემები, თავის საკუთარი ჟურნალ-გაზეთები, რომლებშიდაც იგი უნდა სდებდეს თავის სულსა და გულს, თავის კეთილშობილურ ადამიანურ და ქრისტიანულ გრძნობებს, რომლითაც არა თუ თითონ იყოს მოხიბლული, არამედ სხვასაც ხიბლავდეს, სხვასაც ატყვევებდეს სახარების მაღალ აზრთა და ჭეშმარიტებათა სიდიადით. ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ სამღვდელოებას აუკრძალოს საერო ლიტერატურის კითხვა-შესწავლა; წინააღმდეგ, იგი ვალდებულია თვალყური ადევნოს მას, რომ

დროზე შეიტყოს მისი ცუდი მხარეები და დროზე დასდვას შესაფერი წამალი. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ სამღვდელოება საერო ლიტერატურის ცალმხრივ გავლენის ქვეშ სრულიად დაჰკარგავს თავის ზნეობრივ გავლენას და გაითქვიფება ამა თუ იმ არსებულ მიმართულებაში, რომელიც შეიძლება სრულებით წინააღმდეგი იქმნეს მთელი იმ მიმართულებისა, რომელსაც იგი ემსახურება. გადახედეთ ახლო წარსულს და თქვენ დარწმუნდებით ნათქვამის სიმართლეში. რომ ცოტა ხანს კიდევ გაგრძელებულიყო მოძრაობა, თითქმის მთელი მესამედი მაინც სამღვდელოებისა ანაფორას გაიხდიდა: აქაო და სოციალისტურ მოძრაობას მღვდელი სძულს და სარწმუნოება ჩალად მიაჩნიაო.

სარწმუნოების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენზე უფრო ადრე სხვაგან დაიწყო, მაგრამ ასეთ მოვლენას ვერსად ვერ ვხედავთ როგორც დღეს ჩვენშია: ჯერ კიდევ ბალღს თვალი ფარსაგად არ გაუხელია, თავის თავი სხვისაგან—თავის „მე“, მეცნიერულად რომ ვსთქვათ, სხვის „მე“-საგან,— არ გაურჩევია და გაიძახის ღმერთი სად არის, მღვდელი ვინ არის და რა საჭიროაო. და ზედმეტი უბედურება ის არის, რომ სამღვდელოებაც ზედ აყოლილია ამ ბალღურ და უგუნურ მეცნიერებას. ასე რომ სხვაგან ყოფილიყო, მაგ. გერმანიაში, სადაც ამდენი მტერი ჰყავს სარწმუნოებას, იქ რომ ძლიერი საღვთისმეტყველო ლიტერატურა არ უდგეს დარაჯად სარწმუნოებას, ეხლა ერთი ქრისტიანიც, ან უკეთ ვსთქვათ, მორწმუნე აღარ იქნება. ეგევე შეიძლება ითქვას ყველა დანარჩენ განათლებულ ქვეყნებზედაც, ასე გასინჯეთ საფრანგეთზედაც კი,—სადაც მართებლობა ლამობს დაუბრუნოს ეკლესიას ნერონების და დიოკლიტიანების დროები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საფრანგეთის მართებლობა აღიარებს სინიდისის თავისუფლებას—რა თქმა უნდა ენით მხოლოდ,—რასაც უარს ყოფდენ ნერონ-დიოკლიტიანები. ეჭვი არ არის, რომ ამ ახალ დევნულებას საფრანგეთში ახალი საფუძვლებიც აქვს, და შეიძლება სრულიად შესაწყნარებელიც, მაგრამ თავისუფალ სახელმწიფოში ბრძოლაც თავისუფალი უნდა იყოს და არა ძალმომრეობითი. მაშინ ნახავდა საფრანგეთი, რა უფრო გაიმარჯვებდა რესპუბლიკა თუ სარწმუნოება. ეს მეთქი, ვიმეორებ, დამოკიდებულია იმაზე, რომ სამღვდელოებას აქვს ზნეობრივი და მეცნიერული განვითარება, აქვს მაშასადამე ღონე, რომ იბრძოლოს და გამარჯვებულიც გამოვიდეს ბრძოლიდგან. ჩვენ?

ჩვენ მოკლებული ვართ ამ გვარ საშუალებას ჩვენი საღვთისმეტყველო ლიტერატურის სიღარიბისა და ჩვენის განუვითარებლობის მეოხებით და ამიტომ საკმარისია მცირეოდენმა ნიავმა დაგვბეროს, რომ ლელწამივით იქით აქეთ გვაქანოს, და სრულიადაც დაგვლეწოს, შეგვმუსროს. ორიოდე მაღალ გაღვთისმეტყველებული სემინარიელი, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, რომ შესაფერ სიმაღლეზე დაჭერილ იქმნას სარწმუნოების, ქრისტეს სახარების დროშა.

წინააღმდეგ, ისინი თითონ უნუგეშო მდგომარეობაში არიან, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკუქცევა და ღალატი მათგან დაიწყო. არც ორი-სამი აკადემიელი შეადგენს დიდ ძალას, როცა უმრავლესობა სამღვდელოებისა გზას დასცილებია. მათი მოღვაწეობა საგრძნობელი და სასარგებლო მაშინ შეიქნება ქვეყნისათვის, როცა სურვილი და საშვალება ექნებათ გამოსთქვან საგანზე ოვის აზრი და შეხედულება.

საიდგანაც უნდა შევხედოთ საქმეს, ყოველ მხრიდგან ვხედავთ ერთ და იმავე საჭიროებას, საჭიროებას საღვთისმეტყველო ლიტერატურის აღორძინებისას და მის ფართოდ მოფენისას, როგორც სამღვდელოებაში, ისე საღხშიდაც. ამ მიზნისთვის კი საჭიროა საკუთარი გამოცემა, რომელზედაც უნდა იზრუნოს სამღვდელოებამ უფროს ყოვლისა საზრუნავისა. მან, თუ შესაძლებელია, ერთჟამიერად უნდა უზრუნველჰყოს თავის გამოცემა, და თუ არა ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება მაინც უნდა აღმოუჩინოს, რომ გამოცემამ იარსებოს. იმერეთის სამღვდელოებამ კარგა ხანია შეიგნო და კამოსთქვა თავის აზრი შესახებ საკუთარი გამოცემისა. წელს მან 4 ათასი მანეთი გადასდო სტამბის შესაძენად, თუმც საუბედუროდ ამ ფულის მიღებას არაფერი ეშველა, მიუხედავად იმისა, რომ მის შესახებ კონტორასაც მოსსენდა, რომელსაც ბრინციპიალურად არაფელი საწინააღმდეგო აქვს ამისა, თუ ფულს რამე სხვა სპეციალური დანიშნულება არ აქვს. ამის შესახებ, როგორც გადმოგვცეს, ეპარქიისთვის ბირველ რიცხვებში კონტორა ადგილობრივ სასულიერო მთავრობას შეკითხებია, რომელსაც დღესაც არაფერი მოუსსენებია მისთვის. სჩანს, ეს უხვი მოწყალება სამღვდელოებისა არ შეიქნა მოსაწონი ადგილობრივ სასულიერო მთავრობისათვის და ამიტომ სამღვდელოებამ სხვა ღონე უნდა იმხაროს ამ საქმის მოსაგვარებლად. საქმის მოუგვარებლობა კი შეუძლებელია, რადგან სამღვდელოების უგამოცემოთ დარჩენა, მისი სიკვდილის ნიშანია.

ეხლა სრულიად საქართველოს სამღვდელოებას მარჯვე დრო აქვს მოიფიქროს ამ საგანზე, რადგან სამივე ეპარქიაში თითქმის ერთ და იმავე დროს ხდება საეპარქიო კრებები. იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ სხვა განსახილველ საგანთა შორის საკუთარი გამოცემის საკითხი თვალსაჩინო ალაგს დაიჭერს ამ კრებებზე და სასურველადაც დაბოლოვდება.

კინკილეთელი.

შეუძლებლობა სოციალიზმისა.

კარი პირველი

განსილვა ზოგიერთ წინასწარ საკითხთა.

§ 2. საფუძვლები მომავალი სახელმწიფო წყობილებისა.

(კატრეინიდგან).

(გაგრძელება.*)

მიუხედავად იმისა, რომ სოციალდემოკრატები მუდამ კეკემალულობას თამაშობენ, მათ

*) (იხ. შინ. საქ. № 26)

არა ერთხელ უკვე ოფიციალურად ჰქონდათ შემთხვევა და გამოსთქვეს თავისი ძირითადი დებულებანი საზოგადოებიხ მომავალ წყობილობის შესახებ, ასე რომ ამ ჩვენებათა ხელმძღვანელობით შეიძლება აღნიშვნა მომავალი საზოგადოების ზოგიერთ ნაკვთთა. „ის, რაც ჩვენ გვსურს მომავალში, თქვენ ყოველთვის შეგიძლიანთ დაწვლილებით იპოვოთ ჩვენს ლიტერატურაშიო“ *). მართლაც მომავალი სახელმწიფოს საფუძველნი საკმარისად ნათლად არიან ნაჩვენები მისთვის, რომ შეიძლებოდეს მათზე წარმოდგენის შედგენა.

I. ერფურტის პროგრამა ამბობს: „გახშირებული კრიზისები ამტკიცებენ, რომ კერძო საკუთრების უფლება საწარმოვო იარაღზე ვერ თავსდება მის მიზნის შესაფერ ხმარებასა და საკმარისად გამოყენებასთან. მხოლოდ გარდაქმნა კაპიტალისტური კერძო საკუთრების უფლებისა წარმოების იარაღზე—მიწაზე, მიწის გულზე, შეუმუშავებელს მასალაზე, ფაბრიკებზე, ქარხნებზე, გზებზე—საზოგადოებრივ საკუთრებად და გარდაქმნა საქონლის წარმოებისა სოციალისტურ წარმოებად, წარმოებად, რომელსაც იქმს საზოგადოება საზოგადოებისთვისვე,—ხელს შეუწყობენ იმას, რომ მსხვილი წარმოება და მრავალნაყოფიერება კაცის შრომისა აღარ იქნებიან დაჩაგრულ კლასთათვის დაჯაბნის და სიღატაკის წყაროდ, არამედ გადიქცევიან წყაროდ ქონებრივი კეთილ-დღეობისა და ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარებისა“. აი ამით „ეხლანდელი საზოგადოების საფუძველნი დამხობილ იქნებიან, ერთი კლასის ბატონობა მეორეზე და თვით კლასებად დაყოფაც გაუქმებულ იქნება, მაშასადამე, მოისპობა აგრეთვე ექსპლოატაცია და დაჩაგვრა „დაქირავებულ მუშებისა“, როგორც საზოგადოდ ყოველი სახე, „შევიწროებისა და ექსპლოატაციისა, რაზედაც უნდა იყვნენ იგინი მიმართულნი: კლასზე, პარტიაზე, სქესზე, მოდგმაზე“ და სხ.

ამ დებულებებში შემდეგი მოთხოვნებია:

ა) გარდაცემა საწარმოვო იარაღისა საზოგადოების საკუთრებად. კერძო საკუთრება საწარმოვო იარაღზე ამ რიგად გაუქმდება**).

ჯერ-ჯერობით ჩვენ მხარს ავუქცევთ საკითხს შესახებ იმისა, როგორ მოხდება საწარმოვო იარაღის საზოგადო საკუთრებად გადაცემა, ერთბაშად, თუ ნელნელა, მშვიდობიანი გზით, თუ ძალდატანებით, უწინდელ მეკუთრეთა ზარალის ანაზღაურებით, თუ აუნაზღაურებლად? მაგრამ ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, რომ სოც. დემოკრატები თხოულობენ სახელდობრ შრომის იარაღის გარდაცემას საზოგადოების საკუთრებად; გადაჭრით ვამბობთ მიტომ, რომ კაუტსკი პროგრამის განმარტებაში ***) ამბობს: „სოციალურს წყობილებაზე გადასვლა სულაც არ მოითხოვს წვრილ სახელოსნო წარმოებათა და საგლეხო წვრილ საკუთრების ექსპროპრიაციას“. ეს ხომ ადვოკატური ხრიკია, ხმარებული უმთავრესი საგნისგან ყურადღების მოსაშორებლად და მეორე ხარისხოვან საგანზე გადასატანად. რომ აქ ლაპარაკია მხოლოდ გადასვლის დროზე და საშვალებაზე ეს იქიდანაც სჩანს, რომ თვითონ კაუტსკი ორი გვერდით ქვემოდ სწერს: „წვრილს წარმოებას აუცილებლად დაღუპვა მოელის“ და სოციალიზმიც, მისი აზრით, აშურებს წვრილ წარმოებათა შთანთქმას მსხვილ წარმოებათაგან. საინტერესო ის არის, რომ კაუტსკი ერთსა და იმავე დროს ჰპირდება გლეხებს მდგომარეობის გაუმჯობესებასაც სოციალისტურს საზოგადოებაში ლა გლეხკაცური მოსახლეობის აუცილებლად დაღუპვაზედაც ლაპარაკობს. როგორ შეუთანხმოთ ერთი მეორეს? თუ კაუტსკის ჰგონია, რომ გლეხები, მიუხედავათ მათი მდგომარეობის გაუმჯობესობის დაპირებისა, ხალისით შეუწყობენ ხელს კერძო წარმოების საზოგადოებრივ მსხვილ წარმოებად გარდაქმნას მხოლოდ

*) ბებელი რეიხსტაგის სხდომაზე 31 იანვ. 1893 წ.

**) რეიხსტაგის სოც. დემოკრატული ფრაქციის ყველა წევრთაგან ხელმოწერილს მოწოდებაში 30 აპრილს 1903 წ. ნათქვამია: „ჩვენი მიზანია შემოტანა სახელმწიფო და საზოგადო სოციალისტური წყობილებისა, რომელიც დაფუძნებულია წარმოების იარაღის საზოგადოებრივს საკუთრების უფლებაზე და საზოგადოების ყველა წევრთათვის შრომის ვალდებულებაზე“.

***) კაუტსკი. ერფურტის პროგრამა (1892) გვ. 150.

მიტომ, რომ წარმოების უმაღლესად განვითარებულს ფორმას უფრო მეტი მიმზიდველი ძალა აქვს, ვიდრე უკან ჩამორჩენილს ფორმებს და კიდევ მიტომ რომ გლეხი წვრილ მესაკუთრედან გადიქცევა საზოგადოების წევრად, მსხვილ მესაკუთრედ,—ეს უსუსურობაზე მეტია. კარგად არ იცნობს გლეხს ის, ვისაც ჰგონია, რომ გლეხი ნებაყოფლობით ხელს აიღებს თავის ერთ ბეწვა ქონებაზე, რომ გახდეს მონაწილე საზოგადო ბედნიერებისა, რომლის თავდებიც სოციალიზმია.

„ავსტრიის სოც. დემოკრატიული პარტიის პროგრამაც“ აგრეთვე ყველა არსებული ბოროტების საფუძველს ხედავს იმ გარემოებაში, რომ წარმოების იარაღი ხელში ჩაუგდიათ რაოდენსამე მესაკუთრეს, ხოლო არა სწორზომიერობა კაპიტალისტურ წარმოების წესისა მუდამ იწვევს კრიზისებს და მათ თანამხლებ-უმუშევრობას და მუშათა კლასის გაღატაკებას. მაგრამ, ამის გამო, პროლეტარიატი მიდის იმ შეგნებამდე, რომ საწარმოო იარაღის გადასვლა ხალხის საზოგადო საკუთრებად უნდა იყვეს მიზანი მის მისწრაფებათა.“

როგორც პიროპა პარიზის საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესზე დასწრებისა (1900 წ.), წამოყენებული იყო მოთხოვნა—ცნობა სოციალიზმის „ძირითად პიროპრინციპებისა“, რომლებსაც პირველად ყოვლისა ეკუთნის „გასაზოგადოებრივობა (обобществленіе) წარმოების და გაცვლა-გამოცვლის საშუალებათა.“

ბ) საზოგადოებას, როგორც ერთს მთელს, მიჰყავს წარმოება ერთს გეგმაზე. ეს სჩანს შემდეგი სიტყვებიდან: „გარდაქმნა საქონლის წარმოებისა სოციალისტურ წარმოებად—წარმოებად საზოგადოებისა საზოგადოებისთვისვე“. ეს სჩანს ზემომოყვანილს საფუძველთაგანაც. პროგრამის სიტყვით, საწარმოო ძალები აწინდელი საზოგადოების ეკონომიურ განვითარების გამო, „აღემატნენ მისს თავს“; საწარმოო იარაღის კერძო საკუთრება გახდა შეუთანხმებელი მის მიზნის შესაფერ ხმარებასა და სრულს გამოყენებასთან“. ამიტომ საზოგადოება (სახელმწიფო), როგორც ერთი მთელი კისრულობს საწარმოო იარაღის მიზნის შესაფერ მოხმარებას და საზოგადო წარმოების მართვა-გამგეობა.

გ) ნაციონალური ნაყოფი, ე. ი. ყოველივე, რასაც აკეთებს საზოგადოება, ეკუთნის საზოგადოებასვე, როგორც ერთს მთელს. ამ ნაყოფს, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც საჭიროა საზოგადოებისთვის, როგორც ესე ვითარისა, საზოგადოება უნაწილებს მის ცალკე წევრებს. თანახმად პროგრამისა, მხოლოდ საწარმოო იარაღი შეადგენს საზოგადოების საკუთრებას, მოსახმარი საშუალებანი კი განაწილდებიან და გადავლენ კერძო საკუთრებად. პროგრამა, შემდეგ, ჩივის, რომ მიუხედავათ კაცის შრომის ნაყოფის ფრიად ზრდისა, მოგება, აწინდელ საზოგადო წყობილების დროს, ხელში უვარდება, რჩება უმცირესობას. მომავალს სახელმწიფოში ამიტომ მოსალოდნელია ცვლილება ამ მხრივ ისე, რომ ყველას ექნება არა მხოლოდ ერთნაირი „ვალდებულება“, არამედ ერთნაირი „უფლებაც „განურჩევლად სქესისა და მოდგმისა“. კლასებად დაყოფა აღარ არსებობს, თან და თან წარმატებაში მიმავალი ნაყოფიერება კაცის შრომისა მომავალში გახდება წყაროდ უმაღლესი ქონებრივი კეთილ მდგომარეობისა და ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება-გაუმჯობესებისა.

ნაცარყანელი.

(შემდეგი იქნება).

* * * ეს ჩვენ თავზე ა...

უდაბნოში ვარ.... ვერ ეშზერ ოანმგრძობს!
სულ მარტოობამ დაკოდა გული...
შეშინებარ ეჭვი უდროოდ
და დაკარ ობლად, გაჩადებულა.

—

ვიდას მაგენდა, ვის ვუთხრა სიტყვა?—
ესასოება მაშფოთებს სულსა;
ეველგან ღალატი, შური და მტრობა
უდროოთ მაწყალებს, მიდოებს გულსა.

—

რა ვქნა, სად ვპოვო თავშესაფარი—
სიყვარულისა წმინდა სადგური?!..
— სჩანს რომ განგებამ წალად მარგუნა
სულ მარტოობა, გზა უდაბური..

—

ბაგრამ ამედი ჩემდა ნუგეშად
ადუმალს ხმასა თან მიბურნულებს:
კაეკტად იყავ, ნუ შეძრწუნდები—
ცა ღრუბლიანი გამოიდარებს;

—

და ეს ველი წვერ ბასრიანი,
გზაზედ რომ ხედავ და სიდას გაბრკოლებს,
ამოვარდება და ამა ნატეკლად
ნახავ ტკბილ-სუნნელ ეკალიას კოკრებს...

—

მაშინ, თუმც გვიან, იგრძნობ სიამეს
და დამშვიდდება ტანჯული სული,
მაშინ დასტკბები და შენი თავიც
არ გეჩვენება დაობლებული;

—

ეხლა კი დღიურ ნაღველ-სამსალეს
მხნეობა ბაგარ ფარად უფარე,
და ნუ შედრკები.. შორს გაგანათებს
შენი კარსკვლავი და შენი მთვარე.

ივერიელი.



აკაკის იუბილეს გამო.

ვინ იტყვის, რომ სხვა დროში არა ვცხოვრობდეთ? რაც უნდა ითქვას ჩვენი დროის შესახებ,—ეს კი ცხადზე უცხადესია, რომ ახლანდელი დრო სხვაა და ძველი კი სხვა იყო და ამათ შორის დიდი „ზღვარია“. ცხოვრება გართულდა, ამოძრავდა, როგორც ძლიერი ქარიშხალის დროს ზღვის ზვირთები და ძველებური კალაპოტიდგან მძლავრად გადმომდინარდა. მისი შეჩერება და მოთავსება ჩვეულ საზღვრებში შეუძლებელია. აბა მიიხედ-მოიხედეთ, დააკვირდით კარგად ახლანდელ ცხოვრების მსვლელობას, თუ თქვენ აშკარად არ შეამჩნიოთ ამ დროის განსხვავება ძველთან. მართალია, არევ-დარევა, უწესრიგობა და საზოგადოთ ანარქია, ასე ვსთქვათ, ამ დროს თან ახლავს, მაგრამ ამასთან ერთად თამამად შეგვიძლია ვალვიაროთ, რომ შემდეგში ესენი მიდგებიან, გაიელიან და ცხოვრება ისევ განსაზღვრულ კალაპოტში ჩადგება, ხოლო ეს უკანასკნელი ისე ვიწრო და შეზღუდული კი არ იქნება, როგორც ძველად, არამედ ბევრად უფრო გაფართოებული. დიაღ, სხვა დროში ვიმყოფებით და ალარ გვარგია ძველებური უდარდელობა; მარტო კერძო საქმის დევა და პირადი ინტერესების დაცვა ალარ კმარა; საზოგ. დო საქმეში ჩარევა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ამ დროში, თუ გვინდა, რომ ჩვენც ცოცხლებში ვიქნეთ გარეული.

ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ არა თუ მარტო ქართველი ერი, არამედ მთელი კავკასიის მცხოვრებნი, სხვა ტომის ხალხიც კი, დღეს დიდ ფაცი-ფუცშია ჩვენი სახელოვანი პოეტის აკაკი წერეთლის 50 წლის იუბილეს დღესასწაულის მოლოდინში. ასე გასინჯეთ, არა თუ, ეგრეთწოდებული ინტელიგენცია, ესე იგი განათლებული ნაწილი საზოგადოებისა, არამედ სოფლის უბრალო ხალხიც კი დიდ მონაწილეობას იღებს ამ საქმეში, თუმცა მათ აკაკის მარტო სახელი თუ გაუგონიათ. მზადება ამ დღესასწაულის მისაგებებლად დიდია, არა ჩვეულებრივი, რადგან ამის მსგავსი ჯერ ქართველობას არ ახსოვს და მგონი მთელ რუსეთის ისტორიაშიც ძვირი მოვლენაა ესრეთი შემთხვევა. ასე ერთსულოვნათ და შეერთებულად, ჩემის აზრით, ჩვენ სამშობლო ქვეყანას არც ერთ საზოგადო მოღვაწისათვის არ განუზრახავს პატივის-ცემა მის სიცოცხლეში, როგორც აკაკის წილად ხვდება თავისი მადლიერი სამშობლოსაგან. ამას წინათ რუსეთში იუბილესასწაულეს გამოჩენილი მწერლის ტოლსტოის იუბილეი, მაგრამ იქ ასე ერთსულოვნობა არ იყო, რის მიზეზთაც, თუ არ ვსცდები, ხსენებული იუბილეარის სარწმუნოებისაგან განდგომილობა უნდა ჩაითვალოს. ტოლსტოიმ ულალატა თავის ხალხის რწმენას, დაარღვია და შეუბღალა მას სასტიკად სჯულის უმთავრესი კანონები და სრულიადაც უარჰყო ქრისტიანობა, რის გამოც მართლმადიდებელმა რუსეთმა სამაგიეროთ თავათაც უარჰყო იგი და

ლირსეული პატივისცემა ალარ მიაპყრო. აკაკი კი გამოჩენილი პოეტია და მის ნაწარმოებში ვერსად ვერ იპოვით ისეთ ადგილს, სადაც ის უდიერად ეხებოდეს სარწმუნოებას, პირიქით რელიგიური გრძნობები ბევრგან ამშვენებს მის ნაწერებს და სარწმუნოება მის ხელოვნებაში აყვავებულია. და ამისათვის, რამდენათაც ეს მართალია, იმდენათ მეტად ვიქნებით ჩვენ—სამღვდელოება, დამნაშავე, თუ მხურვალე მონაწილეობა არ მივიღეთ ამ საქმეში. მაგრამ საღა ვართ? ზარბაზნის ხმაც ვერ შეგვანძრევს მგონი! ძალიან გამაგრებული ვართ ჩვენ ციხე დარბაზებში და ყურადღებას არას ვაქცევთ. სიმართლის მქადაგებელს, ენისა და სარწმუნოების დამცველს, განა უწინარეს ყოვლისა და ყველაზე წინ ჩვენ არ უნდა ვსცეთ პატივი? რას გავჩერებულვართ და ხმას არ ვილებთ? ამას ხომ მაინც არავინ გვიშლის? ახლა ხომ გვაქვს შემთხვევა, რომ საზოგადოებაში არ გამოვსხლტეთ? დამერწმუნეთ, რომ დიდ შეუნდობელ ცოდვათ ჩაგვეთვლება უყურადღებობა ამ საქმის შესახებ. ეს შემთხვევა უტყუარი საზომია ჩვენი სიფხიზლისა და საზოგადო საქმის დაფასებისა ჩვენგან. მართალია, აქა-იქ ჩარეულნი აოიან ზოგიერთა სამღვდელო პირები ამ დღესასწაულის მოწყობაში, მაგრამ საერთოდ, როგორც განსაკუთრებულ წოდებას, წრეს, გამოჩენილი მონაწილეობა სამღვდელოებას ჯერ ამ საქმეში არ მიუღია და მგონი აწ ძალიანაც რომ ეცადოს, კიდეც ველარ მოასწროს დაგვიანებისა გამო. ყოველი წრე, ყოველი დაწესებულობა ერთი მეორეს ეჯიბრება ამ საქმეში და ცდილობს, რომ თავი ისახელოს სხვაზე მეტად. ჩვენ კი მოყრუებული ვართ. . .

ეხლა როგორ მოვიქცეთ? აი ამის შესახებ მაქვს განზრახვა მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა. ჩვენ—იმერეთის სამღვდელოებას ალარ: ფერი მოგვიხერხდება, რომ თბილისის დღესასწაულს, როშელიც დანიშნულია ამ საგნის შესახებ 7 დეკემბრისათვის, შევუერთდეთ, რადგან, როგორცა ვსთქვით, დაგვიანებულია. შეგვიძლია მხოლოდ მილოცვის დეპეშა გავუგზავნოთ ბუბილიარს. ქართლ-კახეთის სამღვდელოება რა გზაზე ადგია ამის შესახებ, არ ვიცით. ჩვენ კი შემთხვევა ხელს გვიწყობს, რომ, თუ კეთილი სურვილი გვექნა დანაკლისი შევავსოთ და სამარცხვინო მდგომარეობიდგან თავი დავახწიოთ. აი როგორ: 14 დეკემბერს განზრახულია აკაკის მოწვევა ქუთაისში, სადაც მას, რასაკვირველია, დიდის პატივისცემით მიიღებენ და თითქმის იმერეთისათვის იგივე იქნება ეს დღე, რაც თბილისისათვის 7 დეკემბერი. აი მაშინ შეგვიძლია ჩვენ წესისამებრ პატივი ვცეთ დიდებულ პოეტს, მით უმეტესად მოსახერხებელია ჩვენთვის ეს, რომ 10 დეკემბრისათვის საეპარქიო კრება გვექნება და წარმომადგენელნი სამღვდელოებისა აქ იქნებიან. აქვე უნდა მოვიხსენოთ ის გარემოება, რომ საბლალოჩინოებსაც ექნებათ წინასწარი კრებები და არ იქნება ურიგო, რომ რამოდენიმეთ მაინც დეპუტატებს მინდობილობა ექნესთ თავიანთი მარწმუნებელებისაგან ამ საქმის შესახებ (თუ ფულის დახარჯვა საჭიროთ იქნა მიჩნეული, ამაზედაც მინდობილობა ექნესთ დეპუტატებს).

თუ რაში უნდა მდგომარეობდეს პატივის ცემა აკაკისადმი ჩვენგან, ამის შესახებ კითხვა უნდა გადასწყვიტოს შეერთებულმა კრებამ. კერძოთ ჩემი შეხედულობა ამ საგანზე შემდეგია: გარდა დეპუტაციის წარდგომისა და ადრესის მირთმევისა და აგრეთვე ფონდისათვის ფულის შეკრებისა, რაიცა, რაც უნდა იყოს, დროებითია, სამღვდელოებამ უფრო სანახსოვრო რაიმე ღვაწლი უნდა დანერგოს ამ საქმეზე. ამისთანა ღვაწლი იქნება, მაგალითად, აკაკის ნაწარმოების (რამოდენიმე ნაწილის მაინც) გამოცემა ჩვენის საფასით და მისი უსასყიდლოდ გავრცელება მდაბიო ხალხში, ან ტიპოგრაფიის შეძენა, რომლის საშვალებითაც ეს განზრახვა უფრო გაგვიადვილდება. ეს უფრო სანახსოვრო იქნება და სასახელოც ყოველ შემთხვევაში კი უნდა შევეცადნეთ, რომ ღირსეული ადგილი დავიჭიროთ ჩვენი ქვეყნის ამ საერთო დღესასწაულში.

მღ. პ. ყიფშიძე.

თანასწორობა ყველა კაცთა.

(კატრეინიდგან *).

II. სავსებით და თანდათანობით გატარება ცხოვრებაში თანასწორობისა, ცხადია, იმოდენად შეუძლებელია და უგუნურებაა, რომ ამისი არ გაგება არ შეეძლოთ იმგვარ კაცებს, როგორნიც არიან მარქსი და ენგელსი; ამიტომ ისინი სცდილობდენ რავდენადმე წყლით შეეზავებინათ, შეემცირებინათ, სოციალისტური მოთხოვნა თანასწორობისა.

ამ ხსენებულ „მეცნიერულ“ სოციალიზმის თავთა აზრით თანასწორობა, რომლისკენაც მიისწრაფიან სოციალისტები, მდგომარეობს მხოლოდ ყველა კლასურ განსხვავებათა გაუქმებაში; ყველა უნდა იყოს მხოლოდ მუშად და თანაზიარად თავისი ნამუშავრის რაოდენობისა, ჰქონდეს წილი საზოგადო წარმოების ჯამში.

მარქსის აზრით, მომავალ სოციალისტურ საზოგადოების პირველ ხანებში მწარმოებლის უფლება შეზომილი იქნება მის მუშაობასთან; თანასწორობა იმაში გამოიხატვის, რომ შემოღებულ იქნება ერთნაირი საზომი—მუშაობა. მაგრამ, ერთი კაცი მეორისგან განირჩევა ფიზიკურადაც და სულიერადაც და შეუძლიან, ამიტომ, ერთსა და იმავე დროს გააკეთოს მეტი ან შეუძლიან იმუშაოს უფრო მეტი ხანი; ამიტომ შრომამ, რომ საზომობა გასწიოს, თვითონ უნდა იზომებოდეს მისს ხანგრძლივობის და ძალის მიხედვით. თუ არა და ის ალარ იქნება საზომად. თანასწრობა აქ მდგომარეობს არაერთგვარ უფლებაში არაერთგვარს შრომაში. მან (თანასწორობამ) არ იცის კლასური განსხვავება, მიტომ რომ ყველა არის მხოლოდ მუშა. მაგრამ იგი მდუმარედ სცნობს არა ერთნაირს ინდივიდუალურს ნიჭს და ერთად მასთან არა ერთგვარს შრომის შემძლებლობას, როგორც ბუნებრივს პრივილეგიებს. იგი არის ამიტომ უფლება არა თანასწორობაზე, თავისი შინაარსით, როგორც უფლება. მსგავსად ამისა ენგელსი ამტკიცებს: „ეშმარიტი არსება პროლეტარული თანასწორობის მოთხოვნისა არის მოთხოვნა კლასთა გაუქმებისა. ყველა სხვანაირი მოთხოვნა თანასწორობისა უაზრო იქნება“.

რა საბუთი გვაქვს, რომ ეს მოთხოვნა თანასწორობისა ვცნათ სამართლიანად? როგორც მარქსს, ისე ენგელსს სამართლიანობა ამ მოთხოვნისა გამოჰყავთ დამატებითი ფასის თეორიიდან. მაგრამ თვითონ ეს თეორია გამოყვანილია სხვა თეორიიდან, რომელიც შემოიღო რიკარდომ და დაწვლილებით განავითარა მარქსმა—ღირებულობის თეორიიდან, რომლის თანახმადაც შრომა არის ერთად ერთი სუბსტანცია შემადგენელი ღირებულობისა, ან სხვანაირად, საქონელს აქვს იმდენი გაცვლითი ღირებულობა, რავდენიც შთადებულია მასში საზოგადოებრივი—საჭირო შრომა.

მაგრამ თეორიიდან არაგზით არ შეიძლება გამოყვანა თანასწორობის მოთხოვნისა, თუნდაც ნაჩვენები შეზღუდული აზრით. დიდი, დიდი, რაც გამოდის ამ თეორიიდან არის: საზოგადო ნამუშავარ—ნაყოფიდან ყველას ნება აქვს მიიღოს სწორედ იმდენი, რავდენიც მან მისცა ამ ნაყოფს თავისი შრომით, ანუ, როგორც მარქსი ამბობს: „იმ რაოდენობას შრომისას, რავდენსაც იგი (მუშა) აძლევს საზოგადოებას ერთი ფორმით, იგი ღებულობს საზოგადოებისგან მხოლოდ სხვა ფორმით“.

წარმოვიდგინოთ ამ გვარი შემთხვევა: მუშა ძალიან ნიჭიერი კაცია, შრომის მოყვარეა და ძალიან მალე აიღებს იმდენს, რომ არა თუ თვითონ აღარაფრის კეთება მოუნდეს, არამედ შეუძლიან დაიქირავოს ერთი ან უფრო მეტი მსახური,—ვინ დაუშლის ამას? ან კიდევ: მუშას შეუძლიან მიიღოს ნაწილი სხვის ნამუშავრიდან საჩუქრად, ან სამკვიდროდ, შეუძლიან მოიგოს, ან როგორმე შეიძინოს სხვისი ნაშრომი და მაშინ შეუძლიან მდიდრულად იცხოვროს—ვინაა დამშლელი? მაგრამ ამ გზით, ჩვენ ძალიან მალე მოვუბრუნდებით ძველს წესებს: გვეყოლება ბატონები და ოსამსახურეები, მდიდრები და ღარიბები, მშრომელნი და არაფრის მკეთებელნი, ე. ი. გვექნება კლასთა განსხვავება. ერთს, რომელიც მოისურვებს უცოლოდ დარჩენას, შეუძლიან იცხოვროს

*) იხ. „შინ. საქ.“ № 26.

ამოვნებით და მყუდროთ, მაშინ, როცა მე-
ორე, უფრო ნაკლებად ნიჭიერი, ნაკლებად
ონიერი, რომელსაც კისერზე აწევს დიდი
ჯახი ჩავარდება სიღარიბეში.

შემდეგ, რაღა დაემართება „საზოგადოე-
ბრივი წარმოების სწორ ზომიერებას,“ თუ ყო-
ელი კაცი მუშაობას დაიწყებს და გაათავებს,
როცა მოისურვებს და როცა მას ჰგონია, რომ
ღარ სჭირდება მუშაობა? შეუძლიანთ გვითხ-
ან: ყველა მუშაობს იმდენს, რავდენსაც მოს-
ოხოვს მას საზოგადოება ან მისი წარმომადგე-
ელებია. მაგრამ ეს მოთხოვნა არ გამომდინა-
ერობს ღირებულობის თეორიიდან. ამისთვის
აჭიროა სხვა უფრო ღრმა საფუძველი. დასა-
რულ, თუ მხოლოდ შრომაა ერთად ერთი სა-
ომი წარმოების ნაყოფთა განაწილებისა, მაშინ
რაღა შეხვდებათ ავადმყოფებს ჭკუა ნაკლებებს,
ოხუცებს, ობლებს, რომელთაც შრომა არ
შეუძლიანთ?

მაგრამ ჩვენ ქვევით კიდევ ვილაპარაკებთ
ამზედ, რომ შრომის ნაყოფის განაწილება არ
შეიძლება მოეწყოს მხოლოდ მუშაობის რაო-
დენობაზე მიხედვით. ვინ შესძლებს სისწორით
და სამართლიანად დააფასოს მუშის ხელოვნება,
ალა მისი შრომისა და თანახმად ამისა გადასწყვი-
ტოს, რავდენი ერგება მას ნაყოფი საზოგადო
წარმოებისა?

ვგონებ, თვით მარქსს შეგნებული ჰქონდა
უხერხულობა, რომელიც იბადება იმ შემთხვე-
ვაში, თუ შრომა გახდება განაწილების ერთად
ერთ საზომად. აქედან წამომდგარს უთანასწო-
ობას ის აღნიშნავს, როგორც „ნაკლს“, რო-
ელიც აუცილებელია კომუნისტურ საზოგა-
ოების „პირველ ხანებში, როცა იგი მხო-
ლოდ წარმოსდგა კაპიტალისტურ წესწყობი-
ლების წიაღიდგან, შობიარეობის მრავალ ტან-
ჯვის შემდეგ“. „არაფერ შემთხვევაში არ შეი-
ძლება, რომ უფლება იყოს მაღალი იდგეს საზოგა-
ოების ეკონომიურს სტრუქტურაზე და ამის-
ან დამოკიდებულ კულტურულ განვითარე-
ბის ხარისხზე“.

კომუნისტურ საზოგადოების უმაღლეს
საფეხურზე, შემდეგ იმისა, როცა მოისპობა
ონური ძალდატანება კაცისა საშრომად და
მასთან ერთად წინააღმდეგობა ფიზიკურ და სუ-
ლიერ შრომათა შორის... , როდესაც კაცის
ყოველ მხრივ განვითარებასთან ერთად გაიზრ-
დებიან საწარმოვო ძალები, მხოლოდ მაშინ სა-
ზოგადოებას შეუძლიან დააწეროს თავის დრო-
შაზე: „ყველა თავის ნიჭისაებრ, ყველას მის
მოთხოვნილებისაებრ“. ეს რომ შევაფარდოთ მას-
თან, რაც ნათქვამია განვითარების პირველ
ხანის შესახებ, ამ სიტყვების მნიშვნელობა იქ-
ნება ასეთი: მაშინ დადგება სრული თანასწო-
რობა.

ამ რიგად მარქსი იძულებულია უჩვენოს
მუშებს თანასწორობა, როგორც უკანასკნელი
მიზანი განვითარებისა; მაგრამ, როგორც ჭკვი-
ანი კაცი, ამ მიზანს აკუთნებს ბუნდოვანს მო-
მავალს.

რაზედ აფუძნებს მარქსი თავისს იმედებს
კომუნისტურ საზოგადოების მომავალ უმაღლეს
საფეხურების შესახებ, ამაზე იგი გაუბედავად
და სითავმდაბლით ამბობს ზემომოყვანილს სიტ-
ყვებში. ეკონომიურმა განვითარებამ თანდათან
უნდა შეასუსტოს განსხვავება ცალკე პირთა
შორის. ისტორიული განვითარება კი იმ სახით,
რომლითაც აქამდე მიდიოდა, სავსებით ეწი-
ნააღმდეგება ამ გვარს დებულებას. შეიძლება
ვაჩვენოთ, როგორც საყოველთაო გამოცდი-
ლების ფაქტი, ის გარემოება, რომ განკერძო-
ვება საზოგადოებაში და პირადი გარჩევა ხალხ-
ში იზრდება კულტურის წინსვლისათანავე, რო-
მელიმე ველურს ტომში ჩვენ ძალიან ახლო
ვდგევართ საზოგადო თანასწორობასთან;
მაგრამ რაც უფრო ვითარდება საზოგადოება,
იგი უფრო შორდება ამ თანასწორობას. ასე
ყოფილა წარსულს დროში, ასევე იქნება მო-
მავალშიც. წარმოების იარაღის გადაცემა საზო-
გადოების საკუთრებად ვერაფერს შესცვლის,
ვიდრე არსებობს კულტურული განვითარება,
ვიდრე არ მოისურვებენ მისს შეჩერებას ბრიყ-
ული ძალით.

გავათავოთ ჩვენი გამოკვლევა სოციალი-
სტურ თანასწორობისა არისტოტელის მშვე-
ნიერი სიტყვებით: „სჯულისმდებელნი უნდა
ზრუნავდნენ მეტ ნაწილად ხალხის მოთხოვ-

ნილებათა, ვიდრე მათ მდგომარეობათა, გითანასწორებაზე!

ნაცარყანელი.



ხელოვნური სასუქი, რომელშიდაც იმყოფება აზოტი.

აზოტი, როგორც წინათ გოქვეთ, წარმოადგენს მაუცილებელ საჭირო ელემენტს მცენარისთვის; აზოტი თუ მცენარეს არა აქვს, შეუძლებელია მისი ზრდა. ჰაერის აზოტით სარგებლობს მხოლოდ რამოდენიმე მცენარე—ოხრჭა, სიმეურა, სოია და საზოგადოდ მცენარეები, რომლებიც იძლევა პარკებს; ეს მცენარეები ოავის ძირებით აგროვებენ ჰაერის აზოტს და ასუქებენ მიწას, აძლიერებენ, მაგალითად, ოხრჭის შემდეგ, ან სოიის შემდეგ შესაძენელია მოდის სიძანდი და უველა ბურეულობა ნესეთ გასუქებულ მიწაშიც აზოტი არის. ის მარილი, რომელშიდაც იმყოფება აზოტი, მიწაში გროვდება მაშინაც, თუ რომ იქ (მიწაში) არის ორგანიული ნივთიერება, მაგალითად მცენარის ძირები ბალახები, ფურცელი, ჩალა; როდესაც ასეთი მიწაში ლპობას დაიწყებენ, დაიწყება იმავე დროს სხვა და სხვა ქიმიური პროცესები, გაჩდება მარილი, რა შელშიდაც იმყოფება აზოტი და რომლითაც პირდა-პირ სარგებლობს მცენარე. ამ ორგანიულ ნივთიერების დასალპობათ და საზოგადოდ მიწაში მყოფ უსარგებლო მცენარეების სავსები ნივთიერების დასაფუქვნათ, საჭირო არის, რაც შეიძლება ადრე მიწის დასხვა, მაგალითად შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე, და არა ისე გვიან, როგორც ჩვენში, მათ უფრო უოველად საზიზღარი ჩვენულებაა გვიან დასხვა და მაშინაც თესლების თესვა. ასეთ დამუშავებულ მიწაში, სადაც არ დაწყებულა მცენარეებისთვის საზრდოს მომზადება ჰაერის, სითბოს სიცივის და ნოტიოს ზედგავლენით, ახალ ამოსულ მცენარეების ნორჩი ძირები ვერ ბოულობენ მიწაში მაუცილებელ საჭირო ნივთიერებას, მათ შორის აზოტასაც. ნორჩი მცენარე რჩება მშიერი და ძალიან სუსტი იზრდება (ეს ჩვენში შეიძლება შეამჩნიოთ ოუველ ნაბიჯზე). თუ რომ მიწა დროზედ დამუშავდა, ე. ი. თუ რომ ის დასხვნულია დათესვამდე რამოდენიმე თვით წინ, მაშინ ორგანიული ნივთიერებანი, რომლებიც შეადგენენ უმთავრეს ნაწილს ნესვისა და სხვა და სხვა მცენარეებისას, იწყებენ ნელ ნელა ლპობას; ამ დროს განსხვავებულ ბაქტერიების მონაწილეობით ორგანიულ ნივთიერებაში მყოფი აზოტოვანი ნივთიერებაც იშლება, შესდგება აზოტის სიმჟავე და ამისაგან მარილებიც, რომლებიც შეადგენენ მცენარის ბირდაპირ საზრდოს.

ეს პროცესსი, ან მოქმედება ნიადაგში, რომელსაც მეურნეობაში ეძახიან „ნიტრიფიკაციას„ მოსდევს სოდმე მხოლოდ სითბო და ზომიერ ნოტიოს თანადასწრებით მიწაში, სადაც, ამისთან ერთ იქნეს თავისუფალი მოძრაობა ჰაერისა. აქედგან ნათლათ გესედავთ რომ ჩვენებურათ (დათესვის დროს) მიწის ხვნა და დამუშავება არის საწოდეთ მეურნეობის ანა ბანასა, ან ელემენტალური პირობებების უცოდინარობა და ეს უცოდინარობა წარმოსდგება მხოლოდ ჩვენ საზიზღარ ზარმაცობისაგან, და უგულობისაგან. აი ამ პირობებში მყოფ ჩვენ მეურნეს შეუძლია თავის შეცდომა გასწორების, მაგ, რომ თავი დროზე ნორჩ მცენარეებს მიაწვდინოს მანულარული სელოვნური ნივთიერება, რომელშიც იმყოფება მცენარისთვის აუცილებელი საჭირო აზოტი. ამ ფასენალს, ან მანურალურ მარილს ეძახიან ჩილის გვარჯილას (селитра чилийская). თუ რა ეურადღება მიაქცია ამ შესანიშნავმა მარილმა ოოველ გასათლებულ სახელმწიფოებში, სჩანს იქიდგან, თუ რამდენი დაუსარჯავთ ეს მარილი შიწის სასუქად 1893 წლიდგან 1902 წლამდე. სტატისტიკურ ცნობებით სჩანს, რომ დასავლეთ ევროპის ჩაუტანია მიწაში 448 მილიონ ფუთზედ მეტი; ამერიკაში (შეერთებულ შტატებში) თითქმის 20 მილიონი ფუთი, ხოლო რუსეთის იმპერიაში 2 მილიონ ფუთამდე.

როგორც გულწასულ, გადაჭეტილ კაცს, სულს უბრუნებს წმინდა ჰაერი ან შესაფერისი ამ შეთანხვეკასთვის კვლები, როგორც ბაკუანისთვის მაუცილებელი საჭიროა საკმარისი რძე, ურომლისოთ ის არ გაიზრდება, ან გაიზრდება სუსტი და ავთმყოფი, ისე საჭირო არის ჩილის გვარჯილა ახალ ამოსული მცენარეებისთვის, თუ რომ იგინი აზრდებიან ნელა, სუსტია და მოუყოთხო ან არა მწვანე ფერი სდგეთ. ასეთი მცენარეები (თუ თავიდგან სუსტათ აზრდებოდნენ) ძალიან ადვილ შიდაც

ბუსტი აქვსებიან, ნაკლებ ნაოფესაც მასტეშენ, და მარ-
ცვალიც პატარაკბი ექნებათ (თუ ბურეულია).

ჩალის სელიტრა დასება მარილიანთ და ამით
ნაზრდოობას მაშინვე ეწყვეს მცენარეები, ამიტომ
ეს მოაყრიან ხოლმე მაწაზედ მაშინ, როდესაც მცე-
ნარე ამოსულია (ამ შემთხვევაში ეს, რასაკვირველია,
ფეხფარტხეა არ უნდა) ან და დათესის წინ; უკანასკნელ
შემთხვევაში საკმაოა ფარცხით გაკვლა მხოლოდ, რომ
ფოტათი მარილს გადაეფაროს მაწ. რადგანაც ეს
მარილი ძვირია და თანასწორათ მისი მოყრა მა-
წაზედ, როგორც ფ'ენილის ძნელია, ამიტომ ეს
წინ და წინ ურეკენ სალაში ან შშრალ დაფშვნილ
მაწაში და ისე ფანტავენ თანასწორათ მაწაზედ.

თუ რა რაგვარ და რა მცენარისათვის რამდენი
უნდა ამ მარილის მოხმარება, ამაზედ შემდეგ მო-
ვალაპარაკოთ. საზოგადოდ ჩალის მარილის მოხ-
მარება უფრო ადვილია, ვიდრე თომას ფსენილის
(ფქვილის), რომელიც უსათუოთ უნდა აქნეს მა-
წაში ჩატანილი, მცენარეების ძირებთან ახლო, მა-
ინადამე ვისაც რვინის ფორცხი არა აქვს, რომ
ერემთ ჩაფლოს ეს ფსენილი მაწაში, ამან ეს
ფქვილი ჯერ უნდა მოაყროს მაწას და შერე და-
ნთეს, ან დასვნის შემდეგ მოაყროს და კიბიანთ
ფორცხით რაოდენამე ჯერ გაიაროს

ნ. მკურნალი.

(შემდეგი იქნება.)

მოგონებანი გაბრიელ ეპისკოპოსზე.

(გადმოცემული მედ. ფ. ცინცაძისაგან)

ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში
ეგზამენები დასრულდა. მე მეორე კლასში გა-
ვედი. მაგრამ ჩემი სიხარული სრული არ
იყო: ყველანი სოფლისაკენ მიეშურებოდნენ,
მე კი ჩამოვრჩი, რადგან სამგზავრო ფული არ
ქონდა და, ფეხით წასვლა კი შეუძლებელი იყო.
გაბრიელ დავლონდი. ვისთვის მიმემართნა არ ვი-
ცოდი. ბოლოს გადავწყვიტე მეთხოვა ყოველად
სამლვდელო გაბრიელისთვის. იმ სალამოს ეგი
თავის სასახლიდგან გამობრძანდა, ხელში ჯო-
ხი ეჭირა და თავზე უბრალო მლვდლის ქუდი
ეხურა, და გაემართა სასწავლებლისაკენ. მე
ვცდილობდი დრო შემერჩია და ნელნელა მივ-
სდევდი შორი-ახლო. მიახწია გვირაბის გადა-
სადგომზე და შეჩერდა. მე ფეხს მოვუჩქარე.
ეგი ციხის ნანგრევებზე ავიდა და ზედ ნანგრევებ-
ზე იწყო სეირნობა, საიდგანაც დაცქეროდა
რიონსა და ქალაქს. იქ ახლო-მახლო ჩემს მე-
ტი არავინ იყო, თვალი შემასწრო და ხელი
დამიქნია. მე სწრაფად გავჩნდი ყოვლად სამ-
ღვდელოს წინ, იგი კი დაეყრდნო ჯოხზე და
დამიწყო გამოკითხვა: ვინ ვარ, ვისი შვილი
ვარ, ხომ არაფერი მიჭირს, ან თუ ფული
მჭირდება და რამდენი. მე ყოველივე მოვახსენე.
„ხო მართლა, მიჩვენე შენი მოწმობა, რო-
გორია, ან თუ გადადი შემდეგში?“ აქ არ მა-
ქვს, ბატონო, მოვახსენე მე! „აბა წადი და
მოიტანე, მე აქ დაგიცდი.“ მე ფრთები გამო-
ვისხი, ისე სწრაფად მივუტანე, რადგან გული
იმედათ მქონდა... გადაშალა მოწმობა და ბრძა-
ნა: „სამები უფრო ხშირად გქონია, შე საწ-
ყალო, მაგრამ ბავში ხარ და მოუმატე, მოუ-
მატე. ეხლა წადი და მარკოზი მომიყვანე.“
მარკოზაც მოვუყვანე.“ ამ ბავშს მიეცი მარკოზ
საჭირო ფული საჯავოხოს სტანციამდის ბილე-
თის ფასად და ორი შაური ბურისთვის, დღეს
ეყოფა და ხვალ სალამოს ხომ იქნები ბავშო
სახლში?“ კი ბატონო მეთქი, მოვახსენე მკვირ-
ცხლად, სულმნათი დავსტოვეთ ციხეზედ მე
და მარკოზი კი სასახლეში წავედით, სადაც
მივიღე მისგან ზემოხსენებული ფული. მკით-
ხველი ადვილად წარმოიდგენს ჩემს სიხარულს
და იმას თუ რა მადლიერი ვიყავი მაშინ ჩემი
ბედისა და მისი მეუფებისა....

ნეკროლოგი.

†

ოცდა ორს ენკენისთვეს საკუთარ მამულ-
ში გადაიცვალა ნიკო (იგივე ნიკოლოზ) სვი-
ბონის ძე ჩიკვაიძე. განსვენებულმა თავის მო-
ღვაწეობით დაიმსახურა ყურადღება და ამისა-
თვის ესურს გავაცნო მისი ბიოგრაფია პატივ-

ცემულ საზოგადოებას, განსვენებული ღარიბი მღვდლის შვილი იყო; თუმცა ბუნებით ნიჭიერი ყმაწვილი იყო, მაგრამ მამის სიღარიბე და მისი შეხედულება სწავლაზე საზოგადოდ ხელს არ უწყობდა; ამასთანავე იგი დედის ერთა იყო და მშობლებისთვის სამძიმო იყო მისი მოშორება. პირველდაწყებითი სწავლა ნიკომ თავის ოჯახშივე მიიღო სამღვთო წერილის წიგნებიდგან; შემდეგ გაეპარა მამას და შევიდა მაშინდელ სამკლასიან სასულიერო სასწავლებელში ქ. ქუთაისში და იქ ჩინებულად დაამთავრა კურსი. მას სწყუროდა განათლება განეგრძო; გაიპარა კიდევაც თბილისს, მაგრამ მამამ გზიდგან დააბრუნა, ამის შემდეგ მეორე თუ მესამე დღეს **16** წლის ნიკოს მამამ ქალი შერთო, იმ განძრახვით, რომ იგი აღარსად წასულიყო. განსვენებული მაინც ვერ გააჩერეს შინ. სასულიერო სასწავლებელში სწავლის დროს მან დაიმსახურა ყურადღება, განსვენებულ ეპისკოპოსის გერმანესი, რომელმაც ახალგაზდა ნიკო თავის მდივნათ დაინიშნა და ძლიერ დაიახლოვა. ამ სამსახურში ნიკო კარგა ხანს დარჩა და ჩინებულათაც ასრულებდა თურმე თავის მოვალეობას, რისთვისაც დაჯილდოებულ იქმნა მთავრობისაგან. მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მოვლაც მას დაატყდა თავზედ, ამავე დროს შვილებსაც ზრდიდა სხვა და სხვა სასწავლებლებში. სასულიერო უწყებიდან ნიკო გადავიდა შორაპნის მაზრის უფროსის თანამდებობაზე და აქ ხომ გამოიჩინა თავი და ქურდს და ავაზაკ კაცებს გაუფრთხო ძილი. ეს თვისება მას სიკვდილამდე შერჩა. მისი პირდაპირობა ტყვიაზე უფრო ძლიერი იყო; სამსახურს ის არ მოცილებია, სანამ ოჯახმა არ აიძულა. ბევრი ღარიბი პოვილობდა მის ოჯახში სავანეს და ნავთ საყუდელს. მაგრამ მის განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობდა ავათმყოფები, რომლებიც დღემდის მოკლებული არიან საჭირო ექიმობას.

როგორც განათლების მოყვარული, იგი ბევრ აზნაურს და გლეხს აგონებდა შვილების აღზრდა-განათლების საჭიროებას და ნივთიერ დახმარებასაც აწვდიდა მათ. მაგრამ ეს არ იკმარა მან: კარგათ ხედავდა, რომ ამ შეგნებით ვერას არგებდა საქმეს. იმ დროს შორაპნის მაზრაში აგერ-ეგერ თუ ბჟუტავდა პირველ დაწყისი სკოლები, რომლებიც ოდნავ თუ აკმაყოფილებდენ ხალხის მოთხოვნილებას, ხოლო ს. ალისუბნის ახლომახლო სრულებით არსა იყო სკოლა. განსვენებული ხედავდა ამ ნაკლს, მაგრამ დიდხანს გარემოება ხელს არ უწყობდა, რომ სკოლა დაეარსებია. შემდეგ გადასდო ხუთი ქცევა მიწა, ააგო შიგ ოთხი თვალი ქვითკირის სახლი, საკმაოდ მოზრდილი, მორთო ყოველივე სასწავლო ავეჯით და გადასცა სასულიერო მთავრობას სკოლისთვის. უნდა გენახათ, რა რიგ მოაწყდა ამ პატარა სკოლას სწავლის მსურველნი, რამდენი სტიროდა უადგილობისა გამო, და რამდენს თვალზედ მადლობის ცრემლი მოსდიოდა, რომ ხედავდა თავის შვილს სკოლის სკამზე წიგნით ხელში. განსვენებული შემდეგშიაც, როგორც მამა თავის ღვიძლ შვილზე, ისე ცდილობდა თავის დაარსებულ სკოლის აღმატებაზე. გარდა ყველა ხარჯებისა დაარსების შემდეგ კიდევ შესწირა სკოლას ოთხასი მანეთი, რომ საჭიროების დროს სკოლას გაეხმარა სარგებელი და თუ საჭირო იქნებოდა თავნიც. როდესაც უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, რომ ყოველ მაზრაში უნდა დაარსებულიყო მეორე კლასიანი სამასწავლებლო სასწავლებელი, უნდა გენახათ რა რიგ დატრიალდა მაშინ განსვენებული, რათა მისი ნაშრომი სკოლა გადაკეთებულიყო მეორეკლასიან სასწავლებლად და ბევრის შრომისა და ცდის შემდეგ კიდევაც მიაღწია მიზანს: ალისუბანში დაარსდა მეორეკლასიანი სასწავლებელი. არას ვიტყვით თვით სასწავლებლის სიავ-კარგეზე, რადგან ყველამ კარგათ იცის მისი მნიშვნელობა. ნამეტანმა შრომამ უდროვოდ გასტეხა განსვენებული, თან მოხუცებულობამაც დაასუსტა და, ხორციელი შრომით დაღლილი, შეუდგა სულიერ მოღვაწეობას; უკანასკნელი დღეები მონასტერში გაატარა, ჯერ იერუსალიმს და შემდეგ გელათს. როდესაც იგრძნო აღსასრულის ჟამი, იგი მოვიდა თავის სამშობლო ალისუბანში, ყველა თავის კეთილ-მოყვარის და ნაშრომის უკანასკნელ სალამის მისაცემათ, რაც მოასწრო კი-

ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ და რამოდენიმე თვის შემდეგ მშეიდობიანათ განუტევა სული.

ალისუბანი არ დაივიწყებს მას; მისი საფლავი მუდამ სათაყვანებელი იქნება მათთვის, ვინც პირველად აქ განიცადა, აქ იგემა სწავლის დიდი სინათლე; არ დაივიწყებენ მას მგონიც, ვისაც საშობლო ქვეყნის განათლება ამად მიაჩნია.

მღვდ. ᲕᲚ. სალიბ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲘᲡᲐ.

(პროდ. ბეტესისა).

(გაგრძელება*).

> და თქვა ღმერთმან: იქმენინ სამყარო შორის წყლისა და იყავნ განყოფელ შორის წყლისა და იქმნა ეგრეთ. და შექმნა ღმერთმან სამყარო და განსყო ღმერთმან შორის წყლისა, რომელი იყო ქვეშე კერძო სამყაროსა და შორის წყალსა ზედა კერძო სამყაროსა; და უწოდა ღმერთმან სამყაროსა ცა, და იხილა ღმერთმან, რამეთუ კეთილ; და იქმნა მწუხრი და იქმნა განთიად: დღე მეორე".

რომელია ეს ცა, რომლის შესახებ აქ მწერალი მოგვითხრობს? ცხადია, არა ის, სადაც ღმერთი და მისი ანგელოზები ცხოვრობენ, რომელზედაც თქმულია: „ცანი და ცანი ცათანი არა ემა არს შენდა", აქ ლაპარაკი არის, განსაკუთრებით, ქვეყანაზე ჰაეროვან გარსის შექმნის შესახებ, რომელსაც ღმერთმა აგრეთვე ცა უწოდა და რომელსაც ქვეყნის ყველა ენაზედაც ასევე უწოდებენ, რადგანაც ეს ხილული ცა იმის მაჩვენებელია, რომ არსებობს არა მარტო დედა მიწა ქვეშე კერძო ცისა, არამედ ბრწყინვალე განუზომელად უმაღლესი ქვეყანაც ზედა კერძო მისსა. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს თავის თავადაც იგულისხმება, ზედა კერძო ჩვენსა უნდა იყოს რამე, ან და

*) იხ. „შინ. საქმ." № 26.

ეგონია, რომ ეს, ცარიელ წოდებული, ცა სხვა არაფერია, გარნა მცირე ჰაერი და არც კი არის ლირსი, ახალი ქმნილება დარქვას. მაგრამ საქმე სხვანაირად არის. მთავარზე, მაგალითად, ჰაეროვანი ცა არ არის, და აქ რომ ვიყოთ ლილისთ მზისითაც ვერ დავინახავთ ზედაკერძო ჩვენსა ლაჟვარდოვან ცას, არამედ ვიხილავთ მხოლოდ ულაზღვრო სივრცესა და კუპრივით შავს სიბნელეს, რომლიდანაც მზე და ვარსკვლავები ელვარებდეს იქნება ერთდროულათ მოკუთმენის სიმკვეთრით. ამ გვარად ჩვენს ზემოთ მტრედის ფერ ცის არსებობა თავის თავად კი არ იგულისხმება. მეცნიერებაც აქ ეთანხმება ბიბლიას და ამბობს: „დანამდვილებით ცნობილია, რომ გახურვებული დედა მიწა დიდხანს წარმოადგენდა სქელ ორთქლთა ფრიად მაღალ გროვას, რომელშიაც ვერ შედიოდა სინათლის მცირეოდენი სხივიც, ასე რომ ზედაპირი დედამიწისა სრულის სიბნელით იყო მოცული. შემდეგ ამ ორთქლთა ხანგრძლივის გაგრილებისაგამო მრავალი მძიმე ნაწილაკი ზემო სივრცისა ეცემოდა დედამიწაზე და თან და თან შედგა უფრო წმინდა ჰაერი, საკმაოდ მსგავსი ჩვენისა, რომელშიაც წყლის ორთქლს შეეძლო ასვლა და ლრუბლებათ ქცევა. ეს ჰაერი უნდა გაჩენილიყო მცენარეთა და პირუტყვთა წინეთ და მაშინდელი მისი შემადგენელი ნაწილები განაკუთრებით ხელს უწყობდა მცენარეთა დიად სამეფოს სრულს აღმოცენებას.

რა დანიშნულება აქვს ამ ჰაერის სიმრგვლეს, ანუ „სამყაროს", როგორც ამას ბიბლია უწოდებს? პირველად გაყოფა ზედა კერძო წყლების, ე.ი. ლრუბლების ქვეშე კერძო წყალთაგან. ეს ცაჭური რომ არ იყოს, წყლიანი სიბშო ჩვენს ზემოდ მცურავი, სქელ ნისლად გადააწვებოდა მიწისა და ზღვის ზედაპირას და ჩვენ, აბნეულნი ამ სიბნელეში, ვერასოდეს ვერ გავეცნობოდით ვარსკვლავიან ცას და თვით ქვეყნის პირსაც. ამასთან სინოტიე და სიცივე იქნებოდა და მწვანილ-ნაყოფთა დამწიფება შეუძლებელი გახდებოდა. ზოგმა შეიძლება კიდევაც იფიქროს, რომ რაოდენიმე ლრუბელი, ზოგჯერ ჩვენს ზემო მცურავი,

არც არის ღირსი „ზედა კერძო წყალთა“ წოდებისა ვებერთელა ზღვების წინააღმდეგ. მაგრამ ეს მფიქრავი რომ ცხოვრობდეს ალიასკის ნაპირებზე, ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც თითქმის მთელი წელიწადი დაუცხრომელი წვიმა ჩამოდის, ის სხვაგვარ შთაბეჭდილებას მიიღებდა იმ წყლის რაოდენობაზე, რომელიც გროვდება ცაში. შეგვიძლია მაინც ეს სხვა საშვალებითაც ავხსნათ. წვიმისა და თოვლისაგან ხომ ჩნდებიან დედამიწაზე ნაკადულნი, რომელნიც ერთდებიან და ადგენენ ღელეებს და შემდეგ მდინარეებს. მაგრამ დედამიწაზე ბევრია მდინარე, რომელთან შედარებით რეინი მხოლოდ ნაკადულია. ამაზონკა, სამხრეთ ამერიკაში, შესართავიდან სამოც მილის მანძილზე ისე ფართოა, რომ ერთი ნაპირიდან მეორე არ სჩანს და გეჩვენებათ, რომ თქვენ წინ ზღვაა. ამასთან სილრმე აქვს ექვსასი ფუტი (საეენის მეშვიდედი). ეს უზარ მაზარი წყლის სივრცე, რომელიც ბოდენის ტბაზე შესამჩნევად მეტია, შეუჩერებლად მიაგორებს ტალღებს ზღვისაკენ და ისეთის ძალით ესხმება მასში, რომ ნაპირიდგან სამოცდაათ მილის მანძილზე, როცა ნაპირი თვალიდგან იკარგება, მეზღვაურნი გაკვირვებულნინ ახულობენ ბუნების გემოს მეტონ წყალს. ამაზონკაზე ცოტა, ნაკლებია მისისსიპიც, რიოდე-ლა-პლატა, ლენა ენისე, ვოლგა, ნილოსი, დნეპრი, იანტსეკიანგი, განგი და სხვა მდინარეები ამერიკისა, აზიისა და აფრიკისა. წარმოიდგინეთ ყველა ეს მდინარე შეერთებულად! ამ დაუყენებლად ზღვაში ჩამდინარე უსაზომო წყალთა რაოდენობით ზარდაცემულებმა განიზრახეთ, რომ ყველა ეს წყალი უნდა გამოვიდეს ღრუბლებთაგან და რა იქნებოდა, რომ არ იგზავნებოდეს „წყალთაგან ზედაკერძო სამყაროსა“, და მეორე მხრით დედამიწაზე კი არ ჩამოედინებოდა, რომ წინასწარ არ ადიოდეს დედამიწიდან ცისკენ. მაგრამ როგორ ხდება ეს? სულ ადვილად: მზის შუქთა მოქმედებით წყლის ზედაპირზე ჩნდება ჰაერით სავსე პაწია ბუშტები ეგზომ პატარები რომ ვერც ვამჩნევთ. ეს ჰაერი მზისგან თბება, ვრცელდება, გარემო ჰაერზე უფრო მსუბუქდება; ბუშტი, როგორც ჰაროსტატი, ადის მალლა, რომ ზეით შეადგინოს ღრუბელი, რომელიც მრავალ ასი ათას ჩაფ წყალს შეიცავს.

ამ გვარად ღმერთი ფრიად უმნიშვნელოსაგან ქმნის დიადს. რასაკვირველია, მას შეეძლო ქვეყნის ოთხ კუთხეზე ორთქლის უზარ-მაზარი მანქანები დაედგა, რომლებსაც გამბრუებელ ჭექა-გუგუნით ამოქონდეს ზღვებიდან წყალი და შემდეგ მიმოშხეპდეს მას დედამიწაზე, მაშინ ჩვენ, ადამიანებს ეს ძალიან გაგვიკვირდებოდა, მაგრამ, რადგანაც ღმერთი ასრულებს ამ საქმეს უხმაუროდ, უფრო სრულის საშვალებით, აქვს თითოეულ წუთს ცაზე რაოდენიმე მილიონი ჩაფი წყალი და შემდეგ რწყავს იმით მთელს დედამიწას ქართა შემწეობით, რომელნიც აგრეთვე ჰაერს ეკუთვნიან,— ჩვენ ყოველსავე ამას ვერ ვამჩნევთ და ამაზე არც კი ვფიქრობთ.

ერთის შესანიშნავ ვარსკვლავთ-მრიცხველის გამოანგარიშებით, ყველა ადამიანები, ვინც კი ცხოვრობს დედამიწაზე, მამაკაცნი, დედაკაცნი და ბავშნი, რომ იდგნენ ზღვის პირად და გულს მოდგინედ იღებდენ წყალს ჩაფებით, სამოცდა ათ ათას წელს მოანდომებდენ იმდენ წყლის ამოსხმას, რავდენიც მზეს ამოაქვს ერთის წლის განმ ვლობაში. ასე მკირეა და უმნიშვნელო ძალა ადამიანისა ღვთის წყნარ და დიდ-დიდებულ მოქმედებებთან შედარებით.

ეს წყლები „ზედა კერძო სამყაროსა“, ეს ღრუბლები განსაკუთრებითს ქვეყანას შეადგენს. ვინც ხმელეთზე ცხოვრობს, ის ძნელად თუ შეიძლებს შეესწავლოს ეს ქვეყანა მთელ მისის დიდებულებითა და სხვა და სხვაობით; მაგრამ ზღვაზე, თავის ჭეშმარიტ აკვანზე, ღრუბელნი თავისუფლად ჩნდებიან და ხშირად აჩხორავდებიან უზარ-მაზარ გორებად. იქ მეზღვაურს შეუძლია თავისუფლად ათვალიეროს მათი სხვა და სხვა გვარი სახე. უმთავრესნი მათგანნი არიან: გუნდობითი ღრუბელი, რომელიც ხშირად ზაფხულობით, ანუ ელვა-ქუხილის წინედ, თოვლივით თეთრ ვეებერთელა გუმბათებრ აიმართება ხოლმე ბნელ კამარაზე; შიპოვანი ღრუბელი, მზის დასვლაზე გრძელ ფარდებად რომ გადაერტყმება ცას; გინგლიანი ღრუბელი, რომელიც სჩანს მრავალ ნაკუწ-

ნაკუწად, გაბურძგნილ მატყლივით (გინგლიანი ღრუბლები ყველაზე მაღალია ჰაერში მცურავნი 25,000 ფუტის სიმაღლეზე ნახულობდენ ამ ღრუბლებს თავიანთ ზემოდ, მაღლა); ბოლოს, რუხი წვიმიანი ღრუბელი მის გაურკვეველ სახით.

ვისაც სურს ნახოს ღრუბლის სფერა, მთელი მისი ბრწყინვალება და სილამაზე, უნდა აფრინდეს მასთან ჰაეროსტატით. ერთი ინგლისელი აფიცერი მოგვითხრობს თავის ამ გვარ მოგზაურობაზე. წვიმიანი დარი იყო, როცა მან დასტოვა დედამიწა; რაოდენიმედ რომ აიწია მაღლა, ჰაეროსტატი ორთქლში და ნისლებრივ-წვიმიან ღრუბლებში გაეხვია, მაგრამ მალე ყველა ეს ორთქლი და ღრუბელი ძირს დარჩა, და ი, ჰაერონავტი (ჰაერში მცურავი) აღტაცებულ სიტყვებით აგვიწერს, თუ როგორ მისცურავდა იგი თოვლივით თეთრ ღრუბლების ზღვაში; შემდეგ ეს ღრუბლებიც ძირს დარჩა და მის გარშემო, მსგავსად მონბლანისა და გიმალაისა გროვდებოდა სხვა ვეებერთელა ღრუბლები და სისწრაფით იცვლიდა მზის მიერ ბრწყინვალედ განათებულს სახეს. და ამ მისთვის ახალს, დიდებულ ქვეყანაში, მოგვითხრობს იგი, ის ძლივს სუნთქავდა, ძლივს ინძრეოდა ამ დიდ-შვენიერს სიწყნარეში, გრძნობდა რა თავს წინაშე ყოვლის მპყრობელისა. რა ნაირი იქნება, როცა ის, რომლის მოსვლასაც მოველით, გამოჩნდება ანგელოზთა თვისთა და ყოველთა წმიდათა თანა ღრუბელთა ზედა ცისათა!

ამ ჰაერის სიდგომს, რომელიც ჰყოფს „ქვეშე კერძო სამყაროის წყალს“ „ზედაკერძო სამყაროის წყლისაგან“, სხვა დანიშნულებაც აქვს. ცნობილია, რომ ჩვენ ჰაერს ვსუნთქავთ. გარდა ამისა მის შემწეობით ვხედავთ. ჰაერი რომ არ ფანტავდეს მზის სხივებს რომლის გამო საგანი ყოველ მხრივ ნათდება, ჩვენ დავინახავდით ნივთთა მხოლოდ განათებულ მხარეს, მეორე მხარე კი წყვდიადში იქნებოდა გახვეული, როგორც ეს არის მთვარეზე. ჰაერი ქმნის ყველა უანგარიშო ნაქვთებს სინათლისა და ჩრდილისა და გვაძლევს დედამიწის რბილს, ჰარმონიულს გამოხატულებას ნაცვლად მკვეთრისა და დამაბრმობელად მცხინვარე ანუ ბნელ ხალებისა, და უფრო მეტი დანიშნულებაც აქვს ჰაეროვან გარსს ანუ ატმოსფერას; იგი თბილი მანტიაა, რომელიც იფარავს დედამიწას და ყველა მაზედ მცხოვრებ არსებას გაყინვისაგან. თბილია მზის სხივები, თითქმის ცხელიც. მაგრამ ჰაერი რომ არ იყოს იგინი გაათბობდენ საგნის მხოლოდ იმ მხარეს, რომელსაც პირდაპირ, უსაშვალოდ მიადგებოდენ; მეორე, ჩრდილში მდებარე, მხარეზე კი იქნებოდა სრული სიცივე 100° ქვემო°. ასეა მთვარეზე. უჰაეროდ ჩვენ დედამიწაზედაც იგივე იქნებოდა, ერთი მხარე გაყინული და მეორე გადამწვარი. ორგანიული სიცოცხლე შეუძლებელი გახდებოდა. ჰაეროვანი გარსის გამო მზის ცეცხლებრივი შუქი სუსტდება, რბილდება და ყოველ მხრივ მიმოფენით ათბობს მთელს ჰაერს და ჩვენს გარემოსაც თანასწორ-ზომიერად.

ეს მხოლოდ რაოდენიმე სასწაულია ღვთის დიად ქმნულებისა მეორე დღეს, და როგორც ნათელი, ეგრეთვე ჰაერიც ადიდებს ღვთის დიდებულებასა და ძლიერებას. ჩვენ კი მორწმუნენი შემოქმედისა, როგორც მამისა საყვარელის ძისა იესო ქრისტესი, სასოებით ვამბობთ: ვინც აძლევს გზას ღრუბელთა, ჰაერსა და ქართა, იგი უპოვის დასადგომელს ჩემს ფეხსაც.

ონოფრე მწირი.

(შემდეგი იქნება)

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჯედლიძე.**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გამოვიდა და ისყიდება ავტორთან „შინაური საქმეები“ რედაქციაში

ახალი ქართული სახელმძღვანელო წიგნი **მოკლე საეკლესიო ისტორია** დეკ ბ. სმირნოვისა, საქართველოს საეკლესიო ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით. ფასი **60** კ., ვინც 10 ცალზე მეტს გაიწერს 10 პროც. დაეთმობა.

იქვე ისყიდება წიგნაკი „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში“ კრიტიკული შენიშვნები ცნობილ ბებელის წიგნაკზე „ქრისტიანობა და სოციალიზმი“ ფასი **ოქრი შაური.**

Типографія І. М. Хеладзе въ Кутаисѣ. Тифлисская ул., д. Джорджикія.